საქმე №3/2765-23

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

19 აპრილი, 2023 წელი **ქ. თბილისი**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ბადრი შონია

მოსარჩელეები - ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“, [redacted]

მოპასუხე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

შუამდგომლობის მოთხოვნა - „ქ. თბილისში ფონიჭალის მიმდებარედ, შპს „გეო ენერჯის“ ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის N68/ს ბრძანების მოქმედების შეჩერება

სასამართლომ განიხილა შუამდგომლობა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე,

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

2023 წლის 13 აპრილს, ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივამ“, [redacted]

[redacted] სარჩელით მომართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვეს: ბათილად იქნეს ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან - „ქ. თბილისში ფონიჭალის მიმდებარედ, შპს „გეო ენერჯის“ ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის N68/ს ბრძანება.

ამავე სარჩელით მოსარჩელე მხარე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ითხოვს სასკ-ის 29.1 მუხლის თანახმად, შეჩერდეს - გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - „ქ. თბილისში ფონიჭალის მიმდებარედ, შპს „გეო ენერჯის“ ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის N68/ს ბრძანების მოქმედება წინამდებარე ადმინისტრაციულ საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

მოსარჩელეთა მითითებით, გასაჩივრებული აქტი კანონმდებლობის მოთხოვნათა არსებითი დარღვევით არის გამოცემული, ანუ სახეზეა დასაბუთებული ეჭვი გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე. ამასთან, თუკი, შპს „გეო ენერჯი“ ისარგებლებს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის N68/ს ბრძანებით მინიჭებული უფლებით და შემდეგ ეტაპზე მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას, საწარმოს ფუნქციონირების შედეგად არსებითი ზიანი ადგება მოსარჩელეთა კანონიერ უფლებასა და ინტერესებს. შეუქცევადი და გამოუსწორებელი ზიანი ადგება ბუნებრივ გარემოს და საფრთხე ექმნება ადგილობრივთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

სასამართლომ განიხილა შუამდგომლობა ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ გაეცნო წარმოდგენილ მასალებს და მიიჩნია, რომ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ისეთ ღონისძიებას, როგორიც არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება. აღნიშნული ნორმა გამოიყენება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრულ სარჩელზე. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, როდესაც გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი ავტომატურად არ ჩერდება და აქტის შეჩერება ხდება მხარის მოთხოვნით და მხოლოდ სასამართლოს

დასაბუთებული განჩინების საფუძველზე. კერძოდ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ: ა) ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების ან სხვა გადასახდელების გადახდასთან; ბ) აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას; გ) იგი გამოცემულია შესაბამისი კანონის საფუძველზე გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს; დ) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულია წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებელი აღსრულების შესახებ, თუ არსებობს გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა; ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია ან იგი წარმოადგენს აღმჭურველ აქტს და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს; ვ) ეს გათვალისწინებულია კანონით.

მოსარჩელე მხარე ითხოვს შეჩერდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის N68/ს ბრძანების მოქმედება. სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, კერძოდ იგი წარმოადგენს აღმჭურველ აქტს და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებულია, რომ მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას.

ამდენად, სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლით კანონმდებელი ადგენს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების საფუძვლებს. იმისათვის, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ იქნეს ისეთი ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერება, რომელიც მოქცეულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიციაში. მხარის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს დასაბუთებული შუამდგომლობა სადავო აქტის უკანონობისა და პირის კანონიერი უფლების დარღვევის შესახებ, ან უნდა წარმოიშვას დასაბუთებული ეჭვი, რომ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს და შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის შემდგომში დაცვას. ამასთან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აქტის საფუძველზე

განსახორციელებელი ქმედებებით მოსარჩელისათვის არსებითი ზიანის მიყენების ან მისი კანონიერი ინტერესის დაცვის შეუძლებლობის ფაქტი სასამართლომ უნდა შეაფასოს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის გათვალისწინებით.

სასამართლო მიუთითებს, რომ შუამდგომლობის განხილვისას სასამართლო მოქმედებს ვარაუდის ფარგლებში. ანუ, როდესაც კონკრეტული ფაქტობრივი თუ სამართლებრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლოს ეძლევა შესაძლებლობა ალბათობის მაღალი ხარისხით ივარაუდოს, რომ განსახილველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პირის (პირთა) მიმართ უკანონოა ან პირიქით. სასამართლო ახდენს საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირებას, რაც განპირობებულია ამ ინტერესებს შორის ბალანსისა და მმართველობითი საქმიანობით წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების დაცვის აუცილებლობით.

შუამდგომლობის თანახმად, გასაჩივრებული აქტის შეუჩერებლობის შემთხვევაში, საწარმოს ფუნქციონირების შედეგად არსებითი ზიანი ადგება მოსარჩელეთა კანონიერ უფლებასა და ინტერესებს. შეუქცევადი და გამოუსწორებელი ზიანი ადგება ბუნებრივ გარემოს და საფრთხე ექმნება ადგილობრივთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სადავო აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან წარმოადგენს საქმის არსებითად განხილვის საგანს და განმარტავს, რომ სადავო აქტის მოქმედების შეჩერებაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული განჩინება არ გულისხმობს სარჩელის საფუძვლიანობის საკითხის გადაწყვეტას და გავლენას არ ახდენს დავის არსებითად განხილვის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსზე. აქტის მოქმედების შეჩერების საკითხის გადაწყვეტის მიზნებისათვის გაკეთებული სასამართლო დასკვნები არ დაედება საფუძვლად სარჩელზე არსებითად მისაღებ გადაწყვეტილებას, ვინაიდან მტკიცებულებების შეფასება ამ ეტაპზე ხდება მხოლოდ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების საფუძვლების შემოწმების ფარგლებში.

სასამართლო აღნიშნავს, რომ სწორედ შუამდგომლობის ავტორია ვალდებული, სასამართლოს წინაშე სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტუროს და სასამართლოს შეუქმნას მყარი შინაგანი რწმენა, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებით მიყენებული ზიანი იმდენად მნიშვნელოვანი და არსებითი ხასიათისაა, რომ აღემატება სადავო აქტის აღსრულების ინტერესს, რამდენადაც სასამართლო ვალდებულია გაითვალისწინოს როგორც მხარის ინტერესი, ისე ის თანმდევი შედეგი, რაც აქტის შეჩერებას შესაძლოა მოჰყვეს და გადაწყვეტილება მიიღოს სადავო აქტის აღსრულებისა და აღსრულების შეჩერებაზე არსებული ინტერესების ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე. შესაბამისად, არსებითი ზიანის მტკიცება არ შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ მოსაზრებას, არამედ უნდა იყოს რეალური, დასაბუთებული და დასტურდებოდეს კონკრეტული ფაქტებითა და მტკიცებულებებით.

მოსარჩელე მხარე სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებივი აქტის გადაუდებელი აღსრულებით მიყენებულ არსებით ზიანს ასაბუთებს შემდეგ გარემოებაზე მითითებით: გასაჩივრებული აქტის გადაუდებელი აღსრულება იქნება არსებითი ზიანის მომტანი, კერძოდ, თუკი, შპს „გეო ენერჯი“ ისარგებლებს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის N68/ს ბრძანებით მინიჭებული უფლებით და შემდეგ ეტაპზე მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას, საწარმოს ფუნქციონირების შედეგად არსებითი ზიანი ადგება მოსარჩელეთა კანონიერ უფლებასა და ინტერესებს. შეუქცევადი და გამოუსწორებელი ზიანი ადგება ბუნებრივ გარემოს და საფრთხე ექმნება ადგილობრივთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 06 თებერვლის №68/ს ბრძანების თანახმად, გაიცა სკოპინგის დასკვნა N1, ქ. თბილისში შპს „გეო ენერჯის“ ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე; შპს „გეო ენერჯის“დაევალა გზშ-ის ანგარიშის მომზადება N1 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად.

სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელე მხარის პოზიცია გასაჩივრებული ბრძანების გადაუდებელი აღსრულებით მიყენებულ არსებით ზიანთან დაკავშირებით წარმოადგენს მხოლოდ ვარაუდს, და არ არის დასაბუთებული და გამყარებული შესაბამისი ფაქტებითა და მტკიცებულებებით; სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოცემული მსჯელობა რელევანტურია მხოლოდ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების - სადავო აქტის მოქმედების შეჩერების საკითხზე მსჯელობისათვის, რაც ეფუძნება განსახილველ ეტაპზე სარჩელისა და თანდართული მტკიცებულებების შესწავლას, მოსარჩელის არგუმენტაციასა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის წინამძღვრების შეფასებას. ამდენად, ეს მსჯელობა პირდაპირ გავლენას არ ახდენს საქმის არსებით მხარეზე, რაც უნდა გადაწყდეს სასამართლოს მიერ საქმის ყოველმხრივი და სიღრმისეული განხილვის შედეგად. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ეტაპზე მოწმდება მხოლოდ მოთხოვნის იურიდიული მართებულობა დავის საგნის წინასწარი მოწესრიგების მიზნით, ხოლო მოთხოვნის დასაბუთებულობა და საფუძვლიანობა სარჩელზე არსებითად მსჯელობის საგანია.

ამდენად, მოსარჩელის შუამდგომლობა - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის N68/ს ბრძანების მოქმედების შეჩერების შესახებ უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-12, 29-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე, 414-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მოსარჩელეთა შუამდგომლობა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 6 თებერვლის N68/ს ბრძანების მოქმედების შეჩერების თაობაზე არ

დაკმაყოფილდეს;

2. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე: თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი №7ა) მხარეთათვის განჩინების გადაცემიდან 12 (თორმეტი) დღის ვადაში კერძო საჩივრით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

მოსამართლე **ბადრი შონია**